საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტი

კვირა, 13 ივნისი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია ველიამინოვის ქუჩაზე, № 12 მესამე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 10 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტებისა. № 10

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია ნიკოლოზის ქუჩაზე 135, სადაც კლუბის სამკითხველოა.

ბიურო ღიაა საღამოობით 5—7 ნახ. საათამდე.

---

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

---

**ამხანაგების საყურადღებოთ!**

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსთაველის სადგომში. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

---

**მესამე რაიონის ს. კ. პ. ბიურო** დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 ნახ. საათიდან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდის და საღ. 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

---

## ალექსანდრე წულუკიძის გარდაცვალებიდან 15 წლის შესრულების გამო.

21 ივნისს შესრულდება 15 წელიწადი, რაც გარდაიცვალა დაუვიწყარი ალექსანდრე (საშა) წულუკიძე. ამ დღისთვის განზრახულია განსვენებულის ხსოვნის პატივსაცემათ გამოიცეს განსაკუთრებული შინაარსის ნომერი, სადაც მოთავსებული იქნება ალ. წულუკიძის დამახასიათებელი წერილები და სტატიები, მოგონებანი მისი ცხოვრების ნიშანდობლივი ეპიზოდების შესახებ და სხ. და სხ. გთხოვთ ყველა ამხანაგებს დაჩქარებით მოგვაწოდონ შესაფერი მასალები და განსაკუთრებით კი განსვენებულის ყოველგვარი წერილები.

---

## ყველას გასაგონად

**სამხრეთ ოსეთის აჯანყების გამო.**

სამხრეთი ოსეთი კვლავ აჯანყდა და თავის შინ მან საბჭოთა ხელისუფლობა (მთავრობა) გამოაცხადა; ის ისწრაფვის ეროვნული თვითგამორკვევისაკენ. ასეთი აჯანყება იქ დახლოვებით ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მესამეჯერ ხდება. აქედან აშკარაა, თუ რანაირ სერიოზულ მოვლენასთან გვაქვს ჩვენ აქ საქმე. თითოეული პოლიტიკური პარტია ვალდებულია ნათლათ და გარკვევით გამოთქვას თავისი დამოკიდებულება ოსეთის აჯანყების შესახებ. თავისთავათ იგულისხმება, რომ საქართველოს სხვადასხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიების დამოკიდებულება იმ წვრილ ეროვნებათა ნაციონალური თვითგამორკვევის საკითხთან, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ, წინდაწინვე ყველასათვის აშკარაა: ეს პარტიები არავითარ თვითგამორკვევის უფლებას არ ცნობენ არა თუ საქმით, არამედ სიტყვითაც კი და ამიტომ ისინი გადაჭრით ძალადობის მომხრენი არიან და ითხოვენ, რომ სამხრეთ ოსეთის აჯანყება იარაღის საშუალებით იქნას ჩაქრობილი. ნათელი და აშკარაა აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის დამოკიდებულება ამ აჯანყებასთან, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული ეროვნული თვითგამორკვევა: კომუნისტების პროგრამა ყველას გასაგონათ ამბობს, რომ ყველა ეროვნებას აქვს **უფლება ნაციონალური თვითგამორკვევისა სრულ გამოყოფამდე და ცალკე სახელმწიფოს დაარსებამდე**. მაშასადამე, ამ უფლებას ვერ წავართმევთ ჩვენ ვერც სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთ, რამდენათაც მათ განსაზღვრული ტერიტორია უჭირავთ და რამდენათაც ისინი სხვა ეროვნებათა ტერიტორიას თავს არ ესხმიან. ამას თხოულობს ნამდვილი ჭეშმარიტი დემოკრატიზმის პრინციპი, და ამიტომ ნაციონალური მოძრაობის ყოველივე ძალდატანებითი ჩაქრობა დაუშვებელი და დასაგმობია.

ასეთია ორი ერთი მეორეს ძირიანათ საწინააღმდეგო შეხედულება კონკრეტიულათ ოსეთის ხალხის თვითგამორკვევაზე. პირველი შეხედულება სავსებით გამოხატავს ბურჟუაზიის იმპერიალისტურ სულისკვეთებას, მეორე დგას პროლეტარიატის თვალთახედვის წერტილზე და ეყრდნობა მუშათა ინტერნაციონალის საფუძველზე. მაგრამ არის კიდევ მესამენაირი დამოკიდებულება სამხრეთ ოსეთის აჯანყებასთან, რომელიც სიტყვით სცნობს ერთა თვითგამორკვევის უფლებას, მაგრამ საქმით მას უარყოფს. ასეთია ქართველ მენშევიკების დამოკიდებულება სამხრეთ ოსეთის საკითხთან. სიტყვით ეს პარტია სცნობს ერთა თვითგამორკვევას, მაგრამ საქმით ის როგორც მმართველი პარტია საქართველოში, ოსების ნაციონალურ მოძრაობას ძალდატანებით აქრობს. ჩვენ ვამბობთ, რომ მენშევიკების ასეთი პოლიტიკა ვერ გამართლდება მუშათა ინტერნაციონალის პრინციპებით; მისი გამართლება შეიძლება მხოლოდ კაპიტალისტური ან იმპერიალისტური იდეოლოგიით.

მენშევიკების გაზეთები „ბორბა“ და „ერთობა“ ენერგიულათ შეუდგენ ასეთი პოლიტიკის გამართლებას. კიდევ მეტი: ისინი მოითხოვენ, რომ ჩვენ, კომუნისტებმაც, დავადასტუროთ ეს ძალმომრეობის პოლიტიკა წვრილ ერთა მიმართ. მენშევიკებს გონიათ, რომ ჩვენ განგებ არაფერს ვამბობდით აქამდის, მაგრამ ჩვენ არა ვართ ჩვეული სიჩუმის, როცა ეს საჭიროა, მით უმეტეს ასეთ საკითხში.

თავის პოლიტიკას სამხრეთ ოსეთის შესახებ მენშევიკები ამართლებენ შემდეგი საბუთებით: 1) სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევა ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გალაშქრებას; 2) ოსეთის შეიარაღებული აჯანყება საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ რუსეთთან საზავო ხელშეკრულების დარღვევაა; 3) ოსების მოძრაობა ეს ჩამორჩენილი ... მოძრაობაა, ისაა მოძრაობა საშუალო საუკუნოების ახალი დროის დემოკრატიის წინააღმდეგ, რასაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენს, ერთი სიტყვით, ოსეთი ქართული ვანდეაა, რომელიც რევოლუციის და დემოკრატიის სახელით დასჯილი და დასარცხვებული უნდა იქნასო. ვერც ერთი ამ საბუთთაგანი კრიტიკას ვერ უძლებს. რით უნდა შეუშალოს ხელი პატარა ოსეთის თვითგამორკვევამ შედარებით დიდ საქართველოს დამოუკიდებლობას. აშკარაა, თუ დიდი რუსეთის არსებობა ხელს არ უშლის პატარა საქართველოს არსებობას, ისე პატარა ოსეთის არსებობა ხელს ვერ შეუშლის საქართველოს არსებობას, რომელიც სრულებით არ საჭიროებს პატარა ოსეთის ტერიტორიას. მეორე მხრით, საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულება აქ არაფერ შუაშია. საბჭოთა რუსეთმა, თანახმად მის მიერ აღსარებულ პრინციპისა ეროვნებათა თვითგამორკვევისა, მან ცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, მან უარი განაცხადა მის ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, მის შინაურ საქმეებში ჩარევაზე. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა და სხვა წვრილ ეროვნებათ, როგორიც არიან თუნდაც ოსები, ეროვნული თვითგამორკვევის უფლება ამ ხელშეკრულების ძალით აღარ აქვთ. ამის მტკიცება პირდაპირ აბსურდია. მაგრამ მენშევიკები ამბობენ, რომ აჯანყებას საიდუმლოთ ხელი შეუწყო და დაეხმარა საბჭოთა რუსეთიო. მაგრამ ოსეთი წინეთაც ორჯერ აჯანყდა, როცა საბჭოთა რუსეთს მისთვის არავითარი დახმარების აღმოჩენა არ შეეძლო. და რატომ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ახლაც ის დამოუკიდებლათ აჯანყდა. მაშასადამე, საზავო ხელშეკრულების არავითარ დარღვევას აქ ადგილი არ აქვს. მაგრამ მენშევიკებს აქვთ კიდევ მესამე საბუთი.

ოსეთი, იმათი აზრით, წარმოადგენს საქართველოს ვანდეას, ის იბრძვის რევოლუციის წინააღმდეგ, ის იცავს საშუალო საუკუნოების წესწყობილებას, მას აქვს მტაცებლობითი და ყაჩაღური ხასიათი; და გარდა ამისა, ოსეთის აჯანყებამ ვერ წამოაყენა ვერავითარი ლოზუნგი, ვერც ნაციონალური და ვერც სოციალური. ჯავის აჯანყებულთ არასოდეს არ წამოუყენებიათ თავის დროშაზე რაიმე გარკვეული და განსაზღვრული ლოზუნგები, რომელთა სახელით ისინი იბრძვიან; ისინი იღებენ მათთვის სრულებით უცხოს და გაუგებარს ლოზუნგებსო და სხვ. ყველა ამის ძალით საქართველოს დემოკრატია, მენშევიკების აზრით, ვალდებულია ჩააქროს ჯაველ ოსების მოძრაობა იარაღის საშუალებით.

რომ სამხრეთი ოსეთი საქართველოსთვის არ წარმოადგენს ვანდეას, რომ ის არ იბრძვის რევოლუციის წინააღმდეგ, ეს ყველასათვის აშკარაა. მაგრამ ყველაზე უფრო გაუგებარია აქ ის, რომ ოსეთის მოძრაობას თითქო არავითარი ლოზუნგი არ წამოეყენებიოს. როგორც ჩანს ბოლშევიკური, კომუნისტური ლოზუნგები, ლოზუნგები საბჭოთა ხელისუფლობისა, მენშევიკებისთვის ლოზუნგები არაა, ვინაიდან ეს ლოზუნგები მათ არ მოსწონთ. მენშევიკები ვერ უარყოფენ იმ ფაქტებს, რომ სამხრეთი ოსეთი საბჭოთა მთავრობის დროშის ქვეშ იბრძვის, მაგრამ ეს მისი უფლებაა. ისე, როგორც ქართველი დემოკრატია მოითხოვს თავის თვითგამორკვევას და წინააღმდეგობას უწევს ყველა იმათ, ვინც მათ ძალით თავს ახვევს თავის ნებისყოფას, ისევე ჯავის ოსებს სრული უფლება აქვთ ჭეშმარიტი დემოკრატიზმის სახელით მოითხოვონ, რომ ძალდატანებით მათ ნურავინ მოახვევს თავის ნების ყოფას. —თქვენ არ მოგწონთ საბჭოთა პრინციპები, მაგრამ ნება მოგვეცით ჩვენ შინ განვახორციელოთ ეს პრინციპებიო—აი რას ამბობენ და რას მოითხოვენ საქართველოს დემოკრატიისაგან ჯავის ოსები.

ერთი სიტყვით, შეიარაღებული ძალით ჯავის მოძრაობის ჩაქრობა არ მართლდება საერთაშორისო სოლიდარობის პრინციპით, ეს ეწინააღმდეგება მუშათა ინტერნაციონალის ყველა საუკეთესო იდეებს. პარტიას, რომლის პროგრამაში ერთა თვითგამორკვევის უფლებაა აღიარებული, არ შეუძლია ოსეთის ხალხის თვითგამორკვევას შეებრძოლოს ტლანქი ძალით. ეს იქნება თავისი პროგრამის უარყოფა, ეს იქნება დანაშაული ინტერნაციონალური პროლეტარიატის წინაშე.

მეზობელ ხალხთა ძმური სოლიდარობის სახელით, ჩვენ ვთხოულობთ, რომ ოსებზე ძალდატანება არ იქნას ხმარებული, რომ ამ ნიადაგზე არ დაიღვაროს ქართველ და ოს მუშების და გლეხების სისხლი. თუ მართლა არსებობს ერთა თვითგამორკვევის უფლება, თუ მენშევიკებს არ ამოუშლიათ ეს უფლება თავის პროგრამიდან, იმათ არ აქვთ არავითარი საფუძველი ოსეთზე ძალდატანების გასამართლებლათ. ამას თხოულობს არა თუ სოციალიზმის, არამედ უბრალო დემოკრატიზმის პრინციპი. და გარდა ამისა ამასვე თხოულობს თვით საქართველოს დამოუკიდებლობის ინტერესი იმ დროს, როცა ამ დამოუკიდებლობას გარეშე მტრები ემუქრებიან, ვინაიდან ასეთ დროს საჭიროა, რომ მას ზურგი გამაგრებული ქონდეს და არ საჭიროებდეს იქ სამხედრო ძალების დაბანდებას. საქართველოს ინტერესები თხოულობენ, რომ ოსეთთან ის მეგობრულ განწყობილებაში იყოს, და ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ საქართველოს დემოკრატია იცნობს ოსების ეროვნულ თვითგამორკვევას. თუ ასეთი ცნობა არ მოხდა, თუ ოსეთის აჯანყება უხეში ძალით იქნა ჩაქრობილი, მაშინ მთელი პასუხისმგებლობა ამ ძმათა შორის სისხლის ღვრაში თავს დაატყდება საქართველოს მენშევიკების პარტიას და სხვას არავის; ეს კიდევ არაფერი. ამით საფრთხეში ჩავარდება თვით საქართველოს დამოუკიდებლობა, რომლის დაცვას თითქო ასე „ენერგიულათ ცდილობენ მენშევიკები. მაშ, ძირს სისხლის მღვრელი ომი მოძმე ხალხთა შორის! და გაუმარჯოს ძმურ, სოლიდარულ განწყობილებას! გაუმარჯოს ერთა თვითგამორკვევის უფლებას.

---

## კლასთა ბრძოლის გზით

ყოველ დღიურ მოქმედებაში ჩვენ სავსებით უნდა ვიდგეთ კლასთა ბრძოლის ნიადაგზე.

ეს ზოგადი დებულებაა, რომლით ხელმძღვანელობა მუდამ ჟამს სავალდებულოა ჩვენთვის.

მაგრამ არსებობს ერთხელ და სამუდამოთ დადგენილი ფორმა და შინაარსი ამ ბრძოლისა, ის ფერს იცვლის ამა თუ იმ კონკრეტიულ პირობების მიხედვით. ეს პირობებიც, შესაძლოა, სხვა და სხვანაირათ იქნეს დაფასებული და ამის შესაფერათ სხვა და სხვა აზრი სუფევდეს ამა თუ იმ ფორმის და შინაარსის ღირსებაზე და მნიშვნელობაზე. იყო დრო რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში, როდესაც მუშათა იდეოლოგების ერთი ნაწილი გაფიცვებით იყო გატაცებული და მუშებს მხოლოთ წმინდა ეკონომიური ხასიათის ბრძოლას აკუთვნებდა, ხოლო პოლიტიკურ ბრძოლას სავსებით ლიბერალებს უტოვებდა. ამაში ხედავდა ის კლასთა ბრძოლის უმაღლეს გამოხატულებას, ეს მიაჩნდა მას ამ ბრძოლის უდიდეს სიბრძნეთ. ამ სტაჩკისტების, ან, როგორც მათ დაცინვით ეძახდნენ, „ეკონომისტების“ თეორიის უსაფუძვლობა მალე დაამტკიცა ცხოვრების შემდეგმა მსვლელობამ.

მუშათა კლასის ამა თუ იმ მოქმედების და ნაბიჯის ღირსებულება განიზომება მისი პოლიტიკური შედეგით, განიზომება მით, თუ რამდენათ უმჯობესდება და მტკიცდება მუშათა კლასის პოლიტიკური მდგომარეობა მისი საბოლოო მიზნის, ე. ი. სოციალიზმის, თვალსაზრისით. ასე უნდა ვუყურებდეთ და ვაფასებდეთ ჩვენ მუშათა მოძრაობას როგორც ფორმას, ისე შინაარსს.

ფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა მოძრაობის საკითხში. ეს არის მისი ორგანიზაციული მხარე, შესაძლებლობა პროლეტარიატის შეკავშირებისა და მისი შეგნებულ კლასათ გადაქცევისა. სადაც ჯეროვანი ყურადღება არა აქვს მიქცეული ფორმას, იქ შინარსიც საეჭვო ღირსებისაა. საბოლოვო მიზანი ამ მხრით მიმართული მუშაობისა არის პროლეტარიატის შეკავშირება გაბატონებულ კლასათ, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურა, ხოლო მის მისაღწევათ აუცილებელია განუწყვეტელი ორგანიზაციული წრთვნა ყოველ დღიურ მუშაობის დროს.

ჩვენ არ გვჭირდება ამ ფორმების გამოგონება, ისინი თვით ცხოვრებისგან არიან წარმოშობილი და მასთან ერთათ ვითარდებიან. სხვა და სხვა ინტერესების და მოთხოვნილებების მიხედვით სხვა და სხვა ორგანიზაციებში ეწყობა და კავშირდება პროლეტარიატი. პროფესიონალური კავშირები, მუშათა კოოპერატივები, სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებები და (ყველა

ამაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო) პოლიტიკური პარტია,—აი საერთოთ ყველა ის ორგანიზაციები, რომელთა ჯამი წარმოადგენს შეკავშირებულ და შეგნებულ პროლეტარიატს.

პოლიტიკური პარტია მოწინავე რაზმია პროლეტარიატისა და ის თვით უნდა მივიდეს მუშათა კლასის სხვა ორგანიზაციებთან და მათგანში დაიცვას „საერთო მოძრაობის ინტერესები“. ყოველ მათგანს აქვს თავისი სპეციფიური ხასიათი, თავისი განსაკუთრებული მიზანი და ამას აუცილებლათ უნდა გაეწიოს ანგარიში. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თანამედროვე ხანა დიდ მიზნებს აკისრებს პროლეტარიატს და, მაშასადამე, ყველა მის ორგანიზაციებსაც. ამ ორგანიზაციებში იმ მხრით უნდა იქნეს მიმართული მუშაობა, რომ მათ შესძლონ არა მარტო ჩვეულებრივი, ყოველდღიური საქმეების შესრულება, არამედ სათანადოთ გაწაფულებმა მათ მომავალ სოციალისტურ წყობილებაშიაც შესძლონ წარმოების ამა თუ იმ აუცილებლათ საჭირო ფუნქციის თავის თავზე მიღება. მაშასადამე, მარტო სადღეისო კითხვებით, აქამდე შემოზღუდული საგნებით, ვერც ერთი ორგანიზაცია ვერ დაკმაყოფილდება. ყველა ისინი დიდი ყურადღებით უნდა შეეთანხმონ კარზე მომდგარ სოციალიზმის ინტერესებს.

რა შინაარსით უნდა აივსოს ჩვენი ყოველდღიური მუშაობა, ეს სავსებით დამოკიდებულია კონკრეტიულ პირობებზე. როგორც შეუძლებელია ყველა იმ საკითხების ჩამოთვლა, რომლებიც ჩვენ მუშაობის დროს წინ დაგვიდგება, ისევე შეუძლებელია წინდაწინ განსაზღვრა, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხები. ყოველ ცალკე შემთხვევაში ჩვენ განსაკუთრებულათ უნდა ავსწონ-დავსწონოთ გარემოება და პირობები და ამის შესაფერათ ვიმოქმედოთ. აქ მხოლოთ საერთო სახელმძღვანელო დებულებათ ის შეგვიძლია დავასახელოთ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (სოციალისტურს კი მას არავინ არ უწოდებს) კლასთა ბრძოლას სრული მოქალაქეობრივი უფლება უნდა ქონდეს მინიჭებული და იგი არაფრით არ უნდა ზღუდებოდეს. კლასთა ბრძოლის უალრესათ განვითარება, მისი უფრო და უფრო გაღრმავება და გაფართოება უნდა იყოს ჩვენი უმთავრესი ინტერესი ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში.

თუ როგორ მივაღწევთ ჩვენ ამას,—ეს დამოკიდებულია ჩვენს ორგანიზაციულ სიმტკიცეზე და ამას ერთხელ კიდევ მივაქცევთ ჩვენი ამხანაგების განსაკუთრებულ ყურადღებას.

# პრესა

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და ფაქტებითაც დაგვიმტკიცებია, რომ მენშევიკებს არ შეუძლიათ ჩვენ წინაალმდეგ იდეიური ბრძოლა. აი, რას სწერს გაზ. „ერთობა“ გუშინდელ ნომერში:

„ჩვენ ვიბრძოლებთ მათ (ბალშევიკების) წინაალმდეგ, როგორც **იდეიურათ**, ისე **ფიზიკურათ** (ხაზს თითონ „ერთობა“ უსვამს). **იცოდენ, რომ ბალშევიკების მოღალატური მუშაობის წინაალმდეგაა მიმართული, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველი პარტიების მუშაობა,** ისე მთელი სახელმწიფოებრივი მექანიზმი“...

„ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენი პარტიის წევრთა რეგისტრაცია **თქვენს ორგანიზაციებს გარდა ხსვა ორგანიზაციებშიაც—პოლიტიკურში თუ სახელმწიფოებრივშიაც—ხდებაო**“.

აქ ყველაფერი აშკარაა, ყველაფერი გულახდილობით არის ნათქვამი, მაგრამ ჩვენ არ გვეგონა, თუ მენშევიკების პასუხისმგებელი ორგანო ასეთ უპასუხისმგებლო სიტყვებს დახარჯავდა.

ვინ ასრულებს ამ შემთხვევაში მართლა რომ „მუხანათურ მუშაობას“, ამას თვით მკითხველი დააფასებს. რაც შეეხება მუქარას, ჩვენ ამით ვერავინ შეგვაშინებს. ჩვენ შევსძელით ჯოჯოხეთური პირობების ატანა, ჩვენ გამოვიწაფეთ ამაში, ჩვენ კიდევ უფრო შევსძლებთ ასეთ პირობებთან შეგუებას, თუ ასეთის განცდა კიდევ დაგვატყდება თავზე ჩვენდა უნებურათ.

გასაკვირალი არ უნდა იყოს, რომ მუშათა პარტიას წინაალმდეგ ირაზმებიან მუშათა კლასსის ყველა ფარული თუ აშკარა მტრები, რომლებიც ლამობენ მის დამარცხებას ყოველგვარი საშუალებით. უმთავრესი საშუალება ამ შემთხვევაში ყოველთვის ყოფილა და იქნება სიცრუე, ცილის წამება, ფაქტების დამახინჯება და პროვოკატორობა, ჯაშუშებთან შეერთებული. ფედერალისტების ორგანო „სახ. საქმე“ ჩვენ ასეთ საქმეებში ჩავიჭირეთ. გუშინდელ ნომერში ეს გაზეთი იძლევა ახალ საბუთებს ამისთვის. ის სწერს:

„აზერბაიჯანში დღეს გაბატონებულია არა რომელიმე პარტია, არამედ რუსეთი. ეს რუსეთია, რომ სძარცვავს მთელ აზერბაიჯანს, ეს რუსეთი, რომ ყოველგვარი ქონება, უბრალო ძაფიც არ დაუტოვებია აზერბაიჯანში და ისე გაზიდა თავის ქვეყანაში, რომ რამდენსამე დღეში აზერბაიჯანი დააცარიელაო“.

რა არის ეს თუ არა პროვოკატორობა, სიყალბე და სიცრუე?

მეორე წერილში გაზეთი ამბობს:

„სთქვით ბოლომდის, ნუ გრცხვენიათ, სულერთია **სტრიქონსა და სტრიქონს შუა მაინც მოსჩანს თქვენი გულის ნადები** (ხაზი ჩვენია).

დიახ, ამას ეწოდება სხვის გულში და სულში ჩუჩყიანი ხელების ფათური. ამიტომ კარგს იზამთ, თუ თქვენ ენას რამდენიმეთ მაინც ლაგამს ამოსდებთ.

„სახ. გაზეთი“ შემდეგ სწერს:

„მხოლოთ თუ „კომუნისტს“ ეინტერესება, რომელ ინგლისთან გვინდა დაახლოვება და არა კოლონიობა, ეს ის ინგლისია, **მუშური ინგლისი**, რომლის წარმომადგენელებს დღეს მოსკოვში **ლენინი და ტროცკი ელაქუცებიანო**“ (ხაზი ჩვენია).

საბრალო ფედერალისტებო! იმათ ვერც კი გაურჩევიათ, თუ რომელ ინგლისთან აქვთ დღეს საქმე. რაც შეეხება იმას, თითქო მუშურ ინგლისის წარმომადგენლებს „ლენინი და ტროცკი ელაქუცებიანო“, ამაზე ჩვენ მხოლოდ სიცილით ვუპასუხებთ რუსეთის პროლეტარიატის წარმომადგენლების სიტყვები, წარმოთქმული ინგლისის მუშების წარმომადგენლების წინაშე, ლაქუცობა კი არ იყო, არამედ ინგლისის ტრედ-უნიონების და იმათი ხელმძღვანელების დაუზოგველი მხილება. საერთაშორისო პროლეტარიატის უდიდეს წარმომადგენლებს ამხ. ლენინს და ტროცკის ინგლისის ტრედ-იუნიონების წინაშე „ლაქუცი“ არა ესაჭიროება. ეს „ლაქუცი“ მხოლოდ თქვენისთანა ხალხის საქმეა და სავსებით დაგვილოცნია.

# ვინ სტყუის?

(ბ. ს. დევდარიანის მკითხველების საყურადღებოთ)

I.

ბ-ნი დევდარიანი პოლიტიკური ზნეობის ქურუმის წამოსასხამით გამოდის „ერთობის“ ფურცლებზე და შეუდარებელი სიდინჯით მიმართავს ჩვენს მკითხველებს ასეთი, უმანკოებით აღსავსე, სიტყვებით: „კომუნისტი“ ამახინჯებს ფაქტებს, ბეჭდვითი სიტყვეას ხმარობს თავისი მკითხველების მოსატყუებლათ“. ამასთანავე ის „პოლიტიკურ უპატიოსნობათ“ აცხადებს იმის თქმას, რომ „საქართველოს მთავრობა ისე ექცევა და ექცევა ქართველ ბალშევიკებს, როგორც ლენინის მთავრობა რუსეთის მენშევიკებს“. მე სავსებით ვიზიარებ ბ. დევ—ის ამ უკანასკნელ დებულებას—მართლაც და პოლიტიკური მუზმუზელა უნდა იყო და წვრილფეხა ცუღლუტი, რომ ერთ-იგივეობის ნიშანი გაუსვა რუსეთის კომუნისტებისა და ქართველ მენშევიკების რეპრესიულ ზომებს. ჩვენ ხომ ჯერ კიდევ ა. გერცენისაგან ვიცით, რომ არ არის მთავრობა უაფთერესი, ვინემ მთავრობა გახელებულ მებაყლეებისა. და თუ ეს სიტყვები ჰეშმარიტების მატარებელია, ვის შეუძლია ერთმანეთს დაადაროს მოსკოვის და თბილისის მთავრობა, ამათში ერთი რომელიმე უსათუოდ გერცენის განმარტების განსახიერება უნდა იყოს, ხოლო მეორე მუშური დემოკრატიის განხორციელება; ერთი უნდა იბრძოდეს მარცხნით, მეორე მარჯვნით, ერთი უნდა ბაწრავდეს მშრომელი ხალხის დაუძინებელ და სისხლ მოწყურებელ მტრებს, შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლიუციონერებს, მათ ლაქიებს თუ დამქაშებს, ხალხის სისხლით და ოფლით გასუქებულ სპეკულიანტებს; ხოლო მეორე უნდა ნადირობდეს მშრომელთა დიქტატურის მქადაგებლებზე, ატყვევებდეს არა მარტო რევოლიუციონერთა ცენტრალურ კომიტეტს, არამედ ყველას, ვისაც კი ოდესმე ქონებია დევნილი პარტიის წევრობის ბილეთი, ატუსაღებდეს მიმალულ რევოლიუციონერთა ცოლშვილს და ნათესავებს, პოლიციელ ნაგაზების ტორებით აგდებდეს ლოგინიდან ავადმყოფ, მოხუც მამამთავრებს სოციალდემოკრატიულ პარტიისას და სატუსაღოში მიათრევდეს. სოციალისტ ქალებს და ქალიშვილებს აგდებდეს თვეობით და წლობით ციხეში როსკიპ და ქურდ ქალების კამერაში, ჯილდოს ნიშნავდეს ამა თუ იმ მოწინაალმდეგის დაჭერისათვის და სხ. და სხ.

ბ. დევ-ანი უნდა დაგვეთანხმოს, რომ დასამტკიცებელია სწორეთ ის, თუ რომელი მთავრობა რომელ სისტემას მისდევს, ვის ეკავშირება და ვის ებრძვის (რა კი ბ. დევ-ანის აზრით ამის დამტკიცებას თურმე საჭიროებს კიდევ მისი მზრუნველობის სხივებმოფენილი „კომუნისტის“ მკითხველი). აი, ამ მთავარი კითხვის გადაჭრის დროს აშკარა გახდება ვინ სტყუის, რომელი ლიტერატურული თუ პოლიტიკური ჯიბგირი გაჰკივის ყველაზე უფრო-ჯიბგირი დაიჭირეთო!

აი, მაგალითათ, მე მახსოვს, რომ ბ. დევ-ანი, რომელიც „ერთობაში“ ირწმუნება, რომ „რუსეთის მენშევიკებმა ჯერ კიდევ 1917 წ. უარყვეს შეიარაღებული ბრძოლა ბალშევიკებთან,“ ხოლო 1918 წ. სხვა და სხვა დროს დაადგინეს ხოლმე ბალშევიკებს აქტიურათ დავუჭიროთ მხარიო, იგივე ა. დევ—იანი მარტის პირველ რიცხვებში სწერდა (რასაკვირველია არა ქართულ „ერთობაში“, არამედ რუსულ „ბორბა“-ში!): მენშევიკების პარტია სამ მიმდინარეობათ დანაწილდა. „მემარცხნეები“ შედიან წითელ არმიაში, მემარჯვენეები შევიდენ თეთრ-გვარდიაში—„დენიკინით მიდიან დემოკრატიისაკენ“ (იხ. გაზ. „ბორბა“ № 58). ამის შემდეგ რა ფასი უნდა ქონდეს ბ. დევ—ანის მოწმობას, რა ღირებულების უნდა იყოს მისი „თვალით ნახული, პირადათ გამოცდილი და თავზედაც გადატანილი“? რა უმოძრაო წარბების პატრონი უნდა იყოს ის, თუ დენიკინის თეთრ გვარდიაში „პრინციპიალური“ მოსაზრებით გადასულ მენშევიკთა მთელი ფრთის მნახველი მაინც ირწმუნება: მენშევიკები მხოლოდ იდეურათ ეწინაალმდეგებოდენ ბალშევიკებსო!

რა უძალლო სოფლათ წარმოდგენილი უნდა ქონდეს ბ. დევ—ანს ჩვენი კუთხე, რომ პატარა წკეპელიც კი ზედმეტათ მიაჩნია თავის სინდისიერება-პატიოსნების გამოსაფხიზლებლათ, როცა თეთრ გვარდიელთა წიაღში თავამოყოფილ შეიარაღებულ მენშევიკს იდეიურ მებრძოლს უწოდებს?

არა, ასეთ მოწამეს როგორც „კომუნისტის“ მკითხველი, ისე ყოველი კეთილსინდისიერი, პოლიტიკურათ ცოტაოდნათ მაინც გამოფხიზლებული მოქალაქე ნამდვილ „იმერელ მოწმეთ“ მიიჩნევს და ამხელს მის ნებით თუ უნებლიე ცრუპენტელობას.

ყველაფრიდან სჩანს, რომ ბ. დევ—ანი საკმაოზე მეტ მასალას მისცემს მამხილებელთ. მაგრამ ამ ჟამათ მე სრულებით არ მიმაჩნია საჭიროთ გამომზეურება ყველა იმ სიყალბის, რ ა ც ჩამარხულია ბ. დევ—ანის ყ ო ვ ე ლ სატყვასა თუ წერილში, საბჭოთა რუსეთის დასასურათებლათ წარმოთქმულდაწერილში. პირადათ მე არც სასარგებლოთ მიმაჩნია ასეთი გამომზეურება და არც საინტერესოთ, მით უფრო, რომ ბ. დევ-ანი რაც უნდა მხატვარი და ალმაფრენი შემოქმედი იყოს „ნახულის და თავზე გადატანილის“ გადმოცემაში, ის ვერავითარ თავისებურობას და ორიგინალობას ვერ გამოიჩენს იმ ქვეყანაში, სადაც შესაძლებელია ოფიციალურათ ქვეყნიერების რწმუნება, რომ საქართველოში არავის სდევნიდენ კომუნისტობისათვის, რომ აქ მხოლოთ იარაღით ხელში აჯანყებულები, კაცის მკვლელები და მძარცველები იყვენ დაჭერილი, სადაც პროლეტარიატის დამამშვენებელ მოციქულებათ ითვლებიან პირველ მაისობის დღეს გამარჯვებული მოყვითალო ყოხილბაშები, სადაც „ძველი მუშა“ მამალაძეები საჯაროთ ტყუილის თქმაში დაჰერილნი ქრისტიანობრივ თავმდაბლობას იჩენენ და თავის მართლება ეშმაკისეულ ფუფუნებათ მიაჩნიათ, სადაც დამფ. კრების წევრი, ჯიშიანი ქართვე-

# პროლეტარული სახელმწიფო და საბჭოების სისტემა

(გაგრძელება)

მხოლოდ მცირე ჯგუფი მეორე ინტერნაციონალის წევრებისა (ლენინი, კარლ ლიბკნეხტი, როზა ლიუქსემბურგი და სხ.) ომის დაწყების დროს შერჩა ერთგული საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებს. ამ ჯგუფმა მაშინვე გამოუცხადა იმპერიალისტურ ომს სამოქალაქო ომი და მოუწოდებდა ყველა ქვეყნის პროლეტარიატს მსოფლიო იმპერიალიზმის დასამხობათ, რომ ბოლო მოეღოს ავაზაკურ ომს. პირველათ ამ ჯგუფის ხმა მეტად სუსტი იყო, მაგრამ ისტორიამ დაამტკიცა, რომ სიმართლე მის მხარეზე იყო. მოტყუვებული მუშათა მასსა გამოფხიზლდა, მან შეაფურთხა თავის ლიდერ მეთაურებს, ერთგან მან უკვე ჩამოაგდო ბურჟუაზია თავის ტახტიდან (რუსეთი), ზოგან იგი ხელჩართულ ბრძოლას ეწევა კაპიტალისტური წესწყობილების დასანგრევათ (გერმანია), სხვა ადგილებში იგი ამ ბრძოლისთვის ემზადება (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ამერიკის შეერთ. შტატები). ისტორია კერძო პირებს, ვინც უნდა იყვნენ ისინი, როდი ეკითხება, მზათაა თუ არა პროლეტარიატი თავის მისიის შესასრულებლათ, მზათაა იგი თუ არა წინ აღუდგეს ბურჟუაზიულ წესწყობილებას, ჩაგვრას და ხელთ იგდოს ძალა-უფლება და ხელი მიყოს სოციალისტური საზოგადოების შენებას. ისტორიამ უკვე წამოაყენა ეს უდიდესი დანიშნულება საერთაშორისო მუშათა კლასსის წინაშე, და იგი ამ დანიშნულების შესრულებას შესძლებს, ვინაიდან, როგორც მარქსი ამბობდა, კაცობრიობა მხოლოდ ისეთ დანიშნულებას აყენებს, რომლის შესრულებაც მას სავსებით ძალუძს.

პროლეტარული რევოლიუცია დღეს, მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედის მიწურულში, უკვე ფაქტია. ლაპარაკი იმაზე, რომ პროლეტარიატი ამ ჟამათ მოუმზადებელია, რომ კაპიტალიზმის განვითარება ჯერ არ დამთავრებულა, რომ მუშათა კლასსი ვერ შესძლებს წინ გაუძღვეს საზოგადოებას და სხვა ასეთი მსჯელობა არა თუ დროს დაკარგვა და უქმი ლაყბობაა, არამედ პროლეტარიატის ნამდვილი გაცემაა და სოციალიზმის ღალატი. ის, ვინც დღეს პროლეტარულ რევოლიუციის სინამდვილეს უარყოფს, არსებითათ ბურჟუაზიის საქმეს აკეთებს.

პროლეტარული ანუ სოციალისტური რევოლიუციის უარყოფამ, რომელიც მარქსიზმის ერთ ძირითად დებულებათაგანს შეადგენს, მენშევიკები და საერთოთ სოციალ-დემოკრატიის ოპპორტიუნისტები მარქსიზმისავე მეორე ძირითადი დებულების—პროლეტარიატის დიქტატურის—უარყოფამდე მიიყვანა. არ შეიძლება, რომ ამ შემთხვევაში ულოღიკობა დავსწამოთ ამ ხალხს. ის, ვინც წინაალმდეგია პროლეტარული რევოლიუციის, ვისაც არა სწამს ბურჟუაზიის ბატონობის ძალით დამხობა, მისი ძალით ჩამოგდება ტახტიდან და მის მაგიერ პროლეტარიატის, როგორც დაჩაგრული კლასის, გაბატონება ბურჟუაზიის წინაალმდეგობის საბოლოოთ დასაძლევათ,—ის, რა თქმა უნდა, წინაალმდეგი იქნება პროლეტარიატის დიქტატურისაც.

რა არის, ანუ რას ნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურა? პროლეტარიატის დიქტატურა—ესაა სახელმწიფოს ერთგვარი ტიპი ანუ ფორმა, ეს არის მუშათა სახელმწიფო—დემოკრატიის უმაღლესი ფორმა, აუცილებელი ბურჟუაზიული წყობილებიდან კომუნისტურ საზოგადოებაში გადასვლამდე, ერთი სიტყვით ეს არის გარდამავალი ხანის სახელმწიფო ბურჟუაზიის ბატონობის მოსპობასა და კომუნიზმის განხორციელებას შორის, სანამ ჯერ კიდევ საზოგადოების დაყოფა კლასებათ არ გამქრალა და ამიტომ ჯერ კიდევ საჭიროა ძალდატანებითი ორგანოების არსებობა. მარქსი და ენგელსი ეხებიან და არკვევენ ამ საკითხს თითქმის ყველა თავის ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის ნაწერებში, საპროგრამო წერილებში და კერძო მიწერ-მოწერაში. სამწუხაროთ, როგორც ეს საუცხოვოთ დაამტკიცა ნ. ლენინმა (ვლ. ულიანოვმა) თავის ორ წიგნში („სახელმწიფო და რევოლიუცია“ და „პროლეტარული რევოლიუცია და რენეგატი კაუცკი“), ოფიციალური სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებმა ყოველივე ეს დაივიწყებას მისცეს. ამით იმათ ჩამოაცალეს მარქსიზმს რევოლიუციონური შინაარსი და ის მისაღები გახადეს ბურჟუაზიულ სწავლულებისა და ბურჟუაზიის იდეოლოგებისათვისაც კი. ამავე გზით იმათ სრულიად გარყვნეს მარქს-ენგელსის შეხედულება სახელმწიფოზე საზოგადოთ და პროლეტარულ სახელმწიფოზე კერძოთ; ეს გარყვნა იქამდის მივიდა, რომ მარქსის და ენგელსის მიერ არა ერთხელ გამოთქმული და მართლაც გენიალურათ დასაბუთებული შეხედულება სახელმწიფოზე საერთოთ და პროლეტარიატის დიქტატურაზე კერძოთ სოციალიზმის ოპორტუნისტებმა პირდაპირ ანარქიზმათ მონათლეს.

აქ ჩვენ მოვიყვანთ მარქსის კაპიტალურ ნაწერებიდან რამდენიმე ციტატას პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობაზე. დავიწყოთ ცნობილი „კომუნისტური მანიფესტიდან“, რომელიც დაწერილია 1847 წლის მიწურულში. იქ ჩვენ ვკითხულობთ: „როდესაც ჩვენ ვიკვლევდით პროლეტარიატის განვითარების უფრო საერთო საფეხურებს, ჩვენ ვაჩვენებდით ფარისებული საზოგადოების წიაღში ცოტათ თუ ბევრათ დაფარულ სამოქალაქო ომს იმ მომენტამდე, როცა ეს ომი იქცევა აშკარა რევოლიუციათ, და პროლეტარიატი ამყარებს თავის ბატონობას ბურჟუაზიის ძალდატანებითი დამხობის საშუალებით... ჩვენ უკვე დავინახეთ ზევით, რომ მუშათა რევოლიუციის პირველ ნაბიჯს შეადგენს პროლეტარიატის გადაქცევა (ანუ ამაღლება) გაბატონებულ კლასსათ“. *)

სიტყვა „პროლეტარიატის დიქტატურა“, აქ არ არის ნახმარი, მაგრამ „კომ. მანიფესტიდან“ ზევით ამოწერილი სიტყვები ნათლათ ამტკიცებენ, რომ აქ ლაპარაკია სწორედ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დიქტატურაზე. მარქსი და ენგელსი ხშირათ უბრუნდებოდენ ამ საგანს და რაც დრო გადიოდა „კომუნ. მანიფესტში“ გამოთქმული შეხედულება სულ უფრო და უფრო გარკვეულ და ნათელ გამოხატულებას პოულობდა. უკვე ახოვანების დროს, დიდი რევოლიუციონური გამოცდილების და ცნობილი პარიჟის კომუნის ცდის შემდეგ, 1875 წელს კარლ მარქსი ქ. გოტაში მიღებულ პროგრამის შესახებ ბრაკეს სწერდა, სხვათა შორის, შემდეგს: „კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის სუფევს ხანა რევოლიუციონური გარდაქმნისა პირველის მეორეში. ამ ხანას შეეფერება პოლიტიკური გარდამავალი ხანაც, და ამ ხანის სახელმწიფოც შეუძლებელია სხვა რამე იყოს, გარდა პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურისა“.

ამნაირათ, „კომუნ. მანიფესტის“ სიტყვები: „ბურჟუაზიის ძალდატანებითი დამხობა“, „პროლეტარიატის გარდაქცევა გაბატონებულ კლასსათ“ აქ პოულობენ უფრო ნათელ და გარკვეულ გამოხატულებას. ეს არის პირველათ „კაპიტალისტური საზოგადოების რევოლიუციონური გარდაქმნა კომუნისტურ საზოგადოებათ“ და ამ რევოლიუციონური გარდაქმნის ხანის სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სხვანაირი, თუ არ „პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურა“. ასეთი შეურყეველი და გადაჭრილი იყო მარქსის შეხედულება როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების და ბურჟუაზიული წესწყობილების ძალდატანებით დამხობაზე ერთი მხრით და პროლეტარიატის გაბატონებაზე, მის რევოლიუციონურ დიქტატურაზე ანუ პროლეტარულ სახელმწიფოზე მეორე მხრით.

მაგრამ ამ თვის პირდაპირ საგანს ჩვენ რამდენიმეთ გადავუხვიეთ. ჩვენ აქ უნდა გაგვერკვია უმთავრესათ საკითხი: ბურჟუაზიული თუ სოციალისტური დღევანდელი რევოლიუცია, ლოღიკურმა მსვლელობამ, ისტორიულმა აუცილებლობამ რუსეთის დიდი რევოლიუცია, რომელმაც 1917 წლის თებერვალში იფეთქა, თანდათან სოციალისტურ რევოლიუციათ გადააქცია. ვიყავით ჩვენ ამისთვის მომზადებული თუ არ ვიყავით, ამაზე თავის მტრებს დღეს ყოფნა საქმეა. მაგრამ სოციალისტურ რევოლიუციას სათავეში უნდა ჩაუდგეს სოციალისტური პროლეტარიატი, რომელიც რევოლიუციის ხანაში, მარქს-ენგელსის მოძღვრების თანახმათ, ხდება გაბატონებულ კლასსათ და აწესებს პროლეტარიატის დიქტატურას; ამას ეწოდება პროლეტარული სახელმწიფო.

ფ. მ—ძე

---

*) როგორც აქ, ისე ქვემოთაც ციტატები მოგვყავს ნ. ლენინის წიგნიდან: „სახელმწ. და რევოლ.“

ი მენშევიკი „პოლიტიკურ უპატიოსნო ში“ ბრალდებული ჯერ ემუქრება ალმდებელ გაზეთს სასამართლოთი, რა როცა გაზეთი თავის ბრალდებას მეორებს და თან კანონმდებელის და მოუძნებელის ახალ ტყუილის მოწმეებს ლაპარაკებს, ის წყალს იბუგებს პირში ა სიჩუმეს არჩევს, ვითომდა აქ არაფე-ით...

ვიმეორებ, ასეთ კუთხეში ძნელია ორი ინალობის გამოჩენა ფაქტების გაყალ-ებაში. ამ მხრით აქ უკვე მსოფლიო ეკორდია აღებული. სამაგიეროთ ბ. ვ-ანი საარაკო ორიგინალობას იჩენს ავა დარგში, ის ნამდვილი ფალსიფიკა-ტორი მარქსიზმის და მარქსისტული რ ჯის ისტორიის. თვით „ერთო-ას“ თანამშრომელთა შორის, იმ „ერ-ობის“, რომლის ფურცლები სა-ათოთ ნატკეპნია ყველა ჯურის რე-ეგატების ქუსლებით, ბ. დევ-ანს პირ-ლობა ეკუთვნის, როგორც რაოდე-ობითი ისე თვისებითი, მარქსიზმის ყალბებაში, მის გაუპატიურებაში. ბ. ევ-ანის მოღვაწეობის გეროსტრატული უ უარესი არა) მხარის რამოდენიმეთ ინც გაშუქება სასარგებლოთ და საინ-ტერესოთაც მიმაჩნია არა მარტო „კომუ-ისტის“, არამედ „ერთობის“ მკითხველ-თვისაც დ უფრო ამ უკანასკნელთათვის, აიდან არც ერთ წვრილ ბურჟუაწიულ ოუნს არ აუთამაშებია „ერთობის“ ფურცლებზე რევოლიუციონური მარქსი-ს პრინციპები ისეთი „დინჯი“ ფუქ-ატობით, როგორც ბ. დევ-ანს. მისი ერილები „თანამედროვე კითხვები“ ჯვილი გალუნული სარკეა ცოფმორეუ-ლ წვრილი ბურჟუასი; რომელშიაც სა-ჭოთა რუსეთის სინამდვილეც და მარქ-სიზმის მოძღვრებაც იმ ზომ მახინჯათ მოიყურება, რომ არ იცი—სიცილით აკვდე ამ ლტოლვილ დონკიხოტის შე-ედვარე, თუ იტირო „ერთობის“ სულ ოუჩათ აგდებული მრევლის უბედურება, მრევლის, რომლის გონებრივი დაბე-ვება და გამოყეყეჩება სწარმოებს აგერ სამე წელიწადია.

ბ. დევ-ანის აუდიტორიის მთელი ტრა-იკომიზმი იმაშია, რომ მისი წერილე-ის ფორმალური მიზანია თითქოს—და-კმაყოფილოს ჭეშმარიტებას მოწყურე-ული მკითხველი „ერთობისა“, ვინმე ერ-ი. მოგეხსენებათ, „ერთობას“ რომ მოაცალოთ პარტიული იარლიკი, სა-ართველოს ყველა სენატორების რევი-ზიაც კი ვერ გამოარკვევს მიმართულე-ს ამ გაზეთისას, ის უსახოა ისევე, რო-გორც უსახოა მეშჩანური დემოკრატია. ა აი ეს გაზეთი უწევს პოლიტიკურ ელმძღვანელობას ქართველ სოციალ-ემოკრატიის მასსას. და ვინაიდან ცნიერული ორგანოს, ასე ვთქვათ N u Zeit“ ის მაგიერობას ხსენებულ ტიას უწევს „ეშმაკის მათრახი“, ამან-ავე პარტიული გამომცემლობა, ნა-ტურ მარქსისტული გამომცემლობა, თარცა რენეგატების მომხილებელი რკე. მენშევიკებს ჭირივით ეჯავრებათ—ეორია ხომ ძალათ იქცევა, როცა ხა-ხის მასსებში შეიჭრება,—ბოლოს კო-ოდნათ მაინც მოაზროვნე მენშევიკი კითხველი სასაცილო დარჩა, გო-ების ასამოძრავებელი მასალა მისგან არა მთას იქით გადაკიდებული ალმოჩნ-ა. და აი ნერ—ი თავის წერილში ასეთ კითხვებზე ითხოვდა პასუხს: „შენდება ეთში ბურჟუაზიული სახელმწიფო?“ თუ ელშევიზმი ჩამორჩენილი ქვეყნების შვი-ია, რით აიხსნება რომ რუსეთზე უფრო მორჩენილ საქართველოში მენშევიზმი ატონობს“? „რათ ხდება, რომ ჩვენში ოლიტიკაში ბატონობს მუშათა კლასი, ოლო ეკონომიკაში ბურჟუაზია, როგორ ავარიგოთ ეს მარქსის მოძღვრებას-ან“-ი და სხ. „წურც გვრცხვენია და ერც გვეშინია, ვსთქვათ აქ რათ სი-რ ილეო“,—აქეზებდა ნერ-ი სულიერ ყემსებს.

აი, მის საპასუხოთ იწყებს ბ. დევ-ანი თავისი წერილები „თანამედროვე კითხვები“-ის სათაურით, და თუმცა ის ფრო ხშირათ სულ სხვა რამეებზე მოს-ყამს და გოდებს, მარა ისე კი, რომ მკითხველმა უნდა აღიაროს მისი ღირსება; ... და არც ეშინია ფრის და არავისი, ოღონდ კი რო-მე შეაჩვენოს საბჭოთა რუსეთი და ... ფეხს მრევლს, გაბრუე-ს ბურჟუაზიული დემოკრატიის დაუ-ლებელი ტრაბახით და თავისთავის ... და რაკი მარქს-ენგელსის მოწ-... დაუფასებელია ასეთ დევ-გმირულ ...ში, რაღა თქმა უნდა ბ. დევ-ანსაც გამოჰყავს პროლეტარული სოციალიზმის ამირანეში, მარა გამოყავს დაჩიავებულე-ბათ, დაჭკვიანებულებათ, განაციონალ-დემოკრატებულებათ-ერთი სიტყვით, მზგავსათ თავისი სახეობა-ხატებისა.

აუცილებელია ისტორიული ფაქტების ან ლიტერატურული ცნობების მოშველ-ლება—და ბ. დევ—ანიც ისეთი დარდი-მანდობით აცეკვებს მათ თავისდა სა-სარგებლოთ, რომ პრესტიჟიტორების მაქ-სლინდერიც კი სახტათ დარჩება მის ხელოვნებას რო შეხედოს.

მრავლის უმრავლეს მაგალითებიდან ავიღოთ რამდენიმე და დავსტკბეთ ბ. დევ—ანის „პოლიტიკური პატიოსნებით“ და მართლმოყვარულობით. მარა იმავე დროს, რათა ცოტაოდნათ მაინც დაკმა-ყოფილებულ იქნეს ქართველ მკითხვე-ლის წყურვილი შიშველი ჭეშმარიტების და სოციალიზმ-კომუნიზმის მთავარ პრინ-ციპებისა, ავალაპარაკოთ უფრო ხშირათ ისტორიული ფაქტები და სოციალიზმის მამამთავარნი და ცნობილი მკვლევარნი.

**მ. კასპიელი**

(გაგრძელება იქნება)

# საბჭოთა რუსეთში

## დენიკინელები თხოულობენ ამნისტიას.

**ნოვორასია.** საბერძნეთში გადახვეწი-ლებმა 70 ათასმა დენიკინელმა ოფიც-რობამ და ბურჟუებმა შუამდგომლობა აღძრეს ინგლისელების წინაშე გამოით-ხოვოს მან მათთვის ამნისტია საბჭოთა რუსეთისაგან.

ინგლისელებმა ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილეს, გადაარჩიეს ისინი, ვი-საც შრომა შეეძლო, და გაგზავნეს ინგ-ლისში სამუშაოდ.

დენიკინელების მდგომარეობა აუწერე-ლია, განუწყვეტლივი კარანტინი და ში-მშილი საბერძნეთის კუნძულზე იწვევს დიდ მღელვარებას.

**კისლავოდსკში** დიდის ზეიმით გაიხ-სნა წითელ არმიელთა საგარნიზონო კლუბი ამხანაგ სვერდლოვის სახელობაზე. პირველი სიტყვა პეტერსმა წარმოსთქვა, რომელმაც დაახასიათა სვერდლოვის ცხოვ-რება და მოღვაწეობა. სიტყვები წარმოს-თქვეს აგრეთვე დიბენკომ და სხვებმა.

**ამხ. რიკოვი გროზნაში.**

გროზნაში ჩამოვიდა უმაღლეს სახალ-ხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე რიკოვი, რომელიც შეუდგა სურსათის მომარაგების მოწყობას მუშებისათვის.

**ყუბანი.** კალიტოვსკის საზოგადოებას გლეხობამ დაადგინა გადასცეს თითოე-ულმა კომლმა ერთ ნახევარი ფუთი სურ-სათი საბჭოთა მთავრობას.

**დონი „პანების წინააღმდეგ“**

**როსტოვი.** გრძელდება მიტინგები წი-თელ არმიელების ნაწილებსა და ფაბ-რიკა-ზავოდებში. გამოაქვთ რეზოლიუ-ციები საბჭოთა რუსეთზე პოლონელ მუქ-თა ხორების ველურ თავდასხმის წი-ნააღმდეგ. ეწერებიან მოხალისეები.

„Сев. кав.“

**კომუნისტების მობილიზაცია ოდესა.** ნიკოლაევის პარტიულმა გუბ-კომმა წინადადება მისცა ყველა სამაზ-რო პარტიულ კომიტეტებს, დაუყონებ-ლივ მოახდინონ პარტიულ წევრების მობილიზაცია თავდამსხმელ პოლონელე-ბის წინააღმდეგ ბრძოლის ველზე გასაგ-ზავნათ.

**გროზნო.** გროზნოს პარტიულმა ბიუ-რომ გამოაცხადა ყველა კომუნისტებისა და თანამგრძნობთა მობილიზაცია დასავ-ლეთის ფრონტზე გასაგზავნათ.

(„პრავდა.“)

## საქართველოს კომუნისტური პარტიის დევნა საქართველოში

მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრო-ბის თავმჯდომარემ კომუნ. პარტიის წარმომადგენელს აღუთქვა პარტიის წევ-რების არ დევნა, სამწუხაროდ ეს დევნა ისევ გრძელდება და თანდათან მწვავე ასი-ათს იღებს. ამის შესახებ „კომუნისტის“ რედაქციას აუარებელი ცნობები მოს-დის, რესპუბლიკის ყველა კუთხეებიდან.

**ფოთი.** აქამდის არ მიუღიათ სამსა-ხურში რკინის გზაზე მომუშავე და დათხოვ-ნილი ამხანაგები და მეზღვაურები, რო-მელთა სიასაც აქვე გიგზავნით. ეს კი-დევ ცოტაა: ადგილობრივმა მილიციის უფროსმა ამა წლის ორ ივლისს ფოთის

## საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

**„კომუნისტი“**, როგორც მუშათა კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას სავსებით ნაყოფიერათ, როცა ის რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქ-ნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუ-ქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორ-განიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კო-მიტეტი თუ საგუბერნიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრა-ლო სოფლის ორგანიზაცია იყოლი-ოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგე-ბელი კორესპოდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიუ-რათ უგზავნოს „კომუნისტის“ რე-დაქციას ყოველგვარი ცნობები, მა-სალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუ-დგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყ-ნენ შედგენილი, რის პასუხისმგე-ბლობა თვით ორგანიზაციას აწვება.

**ცენტრალური კომიტეტი.**

ნავთსადგურის უფროსს განკარგულება გაუგზავნა, რომ არ მიიღოს სამსახურში დათხოვნილი კომუნისტი მუშები და მოსამსახურენი. აი, ოვით დოკუმენტი:

**ფოთის ნავთსადგურის უფროსს.**

შინაგან საქმეთა მინისტრის კანცე-ლარიაში 10 მაისიდან ამა წლისა № 64, რომლით დაპატიმრებულნი ბოლშევიკები უნდა იქნენ დათხოვნილნი სამსახურიდან ხელახლა ადგილზე მიუღებლათ, იგულის-ხმება, რომ ისინი **არ უნდა იქნან და-შვებულნი სამსახურში თავიანთ წი-ნანდელ ადგილზე.** ნამდვილი სათანა-დო ხელმოწერილია. სწორია. კანცელა-რიის მმართველი ჩხაიძე. ასლი ესე ეგ-ზავნება ნავთსადგურის მეზღვაურ და მოსამსახურეთა კავშირის გამგეობას სა-ხელმძღვანელოთ, თანახმათ ნავთსადგუ-რის სამმართველოს უფროსის განკარ-გულებისა. 4 ივნისი, 1920 წ. № 1742.

საქმის მმართველი **ჩხაიძე.**

დედანთან სწორია:

კავშირის მდივანი **კლდიაშვილი.**

---

**ლორის რაიონი.** მაისის უკანასკნელ რიცხვებში სად. მანასზე კომის. ღლონ-ტის განკარგულებით დაიჭირეს ამხ. ტროფიმოვი. საზოგადოთ აქ დიდი წა-დირობაა ჩვენ ამხანაგებზე, ემუქრებიან სომხეთში გადასახლებას, სადაც ახლა დაშნაკელთა ტერორი მძვინვარებს.

**ახმეტას რაიონი** (თიანეთის მაზრა)

ამ დღეებში აქ ჩამოვიდა თბილისი-დან ამხ. მეგრელიშვილი, რომელიც თიან-ნეთში მიდიოდა. წვიმების გამო ის დარჩა ახმეტაში. აქ მან რაიონში კო-მუნისტური ბიუროს გახსნა მოინდომა, მაგრამ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ამის ნება არ მისცა. ადგილობრივმა კო-მისარმა ტელეფონით შეეკითხა თიანე-თში. იქიდანშემდეგი პასუხი მიიღო: ვიდრე ჩვენგან პ ა ს უ ხ ს არ მიი-ღებთ, მანამ ბიუროს გახსნის ნება არ მისცეთ. გაიგეს რა სოფლის მუშებმა ბოლშევიკის ჩამოსვლა, ყველანი სიხარუ-ლით გამორბოდნენ და ეხვეწებოდენ მა-ლე გაეხსნათ ბიურო, რომ ჩავეწეროთ პარტიაში და თავისუფლათ გალაპარა-კოთო. აქ გამოჩნდნენ ზოგიერთი უპასუ-ხისმგებლო პირები და დაუწყეს ამხ. მე-გრელიშვილს კამათი. მან ყველას შესა-ფერისი პასუხი გასცა. შემდეგ გამოჩნდა ნიკო შახვალოდოვი, რომელმაც განა-ცხადა, რომ, თუ კომუნისტი ხარ, ხმა არ ამოიღოთო, წადი და რუსეთში იცხოვ-რეო; ამაზედ შესაფერისი პასუხი გასცა ამხანაგმა. ამასობაში მოვიდა მაზრის კომისარის პასუხიც: გაჩხრიკეთ მეგრელი-შვილი და წარმომიდგინეთო. ამხ. მე-გრელიშვილი გაჩხრიკეს და გაგზავნეს მილიციის უფროსთან. რაშია საქმე?

**ტანჯული გლეხი.**

## სომხეთის შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხი ჩიჩერინის ნოტაზე.

ჩვენ გადმოგვცეს, რომ სომხეთის მთავ-რობას დაახლოვებით ასეთი პასუხი გაუ-ცია საბჭოთა რუსეთის ნოტაზე. „თქვე-ნი ინფორმაცია სომხეთში მომხდარ ამ-ბების შესახებ ცალმხრივია და არა შეე-ფერება სინამდვილეს. სომხეთში არ ყო-ფილა კომუნისტური რევოლიუცია. იყო მხოლოდ მოძრაობა დენიკინელი ოფიც-რები სომხეთის სახელმწიფოს წინა-აღმდეგ მიმართული. ვისმეს დახვრეტას სომხეთში ადგილი არ ქონია, იყო მხო-ლოდ ერთი უბედური შემთხვევა, რომ-ლის შესახებაც სწარმოებს გამოძიება და დამნაშავენი გადაეცემიან სამხედრო სა-ველე სასამართლოს. სიკვდილით დასჯა იდეიურ ბოლშევიკებს შეეცვალა კატორ-ღით. საგანგებო სასამართლო რომელიც არჩევს ბოლშევიკების საქმეს, მალე გათა-ვდება. მათი უმრავლესობა გაძევებულ იქნებიან სომხეთის ტერიტორიიდან. ჩემი მთავრობის სახელით მადლობას ვუძღვნი საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას, რომ ის ასე დაინტერესებულია სომხეთის მდგომარეობით და ვფიქრობთ, რომ ის კვლავ განაგრძობს მოლაპარაკებას ჩვენ წარმომადგენლებთან.

გარეშე საქმ. მინისტ. **ოღაჯანიანი.**

— ასე სტყუის სომხის ხალხის ჯა-ლათების მთავრობა, მაგრამ ის თავისივე ტყუილების ქსელში ეხვევა. ის პირველათ ამბობს, რომ სომხეთში კომუნისტურ რევოლიუციას ადგილი არ ქონებიაო, და შემდეგ კი იძულებულია აღიაროს, რომ სომხეთის ციხეები ავსებულია არა დე-ნიკინელ ოფიცრებით, არამედ ბოლშევი-კებით.

რედ.

# ახალი ამბები

— **მუშათა პრეტენზიები.** შრომის სამინისტრომ იუსტიციის მინისტრს მი-მართა თხოვნით, რომ მუშათა და მო-სამსახურეთა საქმეები პრეტენზიებით, 1919 წლ. 30 იანვ. კანონის თანახმად, სასამართლოს უწყებებმა გარჩიონ რიგს გარეშე. შრომის სამინისტრო აღნიშნავს 30 იანვ. კანონის დარღვევის ხშირ შე-მთხვევებს. ამ კანონის თანახმად მობი-ლიზაციის დროს გაწვეულებს ხელფასის ნახევარი ეძლევათ და აგრეთვე ადგილი ენახებათ. ამ კანონის დარღვევის გამო მუშები და მოსამსახურეები იძულებულნი არიან სათანადო საჩივრებით მიმართონ სასამართლოს უწყებებს. ამ კატეგორია-თა მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო შრომის სამინისტრო ითხოვს, რომ ეს საქმეები რიგს გარეშე იყოს განხი-ლული.

— **სტატარიუმო პალატამ .** 11 ივნისს სხდომაზე სატარიუმო პალატამ გადასწ-ყვიტა ყველა მუშას და მოსამსახურეს მისცეს ერთდროული დახმარება ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობის, მაგრამ თვითეულს არა უმეტეს 3,000 მანეთისა. თავის გადაწყვეტილების შესახებ სატა-რიუმო პალატამ მთავრობას აცნობა.

— **დასახიჩრებულ ს მხედრო მოსამ-სახურეთადმი პენსიის გადიდება.** შრო-მის სამინისტრომ შინაგან საქმეთა სამი-ნისტროს აუწყა, რომ დასახიჩრებულ სა-მხედრო მოსამსახურეთა პენსიის გამო-ანგარიშების დროს ყოველი არსებული პერიოდის საშუალო ჯამაგირიდან უნდა გამოვდიოდეთ. ასეთ საშუალო ჯამაგირს ქალაქებისათვის წარმოადგენს 2.700—3000, სოფლებისათვის კი 1800—2000 მ. ამ განმარტების თანახმათ შინაგან საქმე-თა სამინისტრომ შესაფერი განკარგუ-ლება გასცა იმ დაწესებულებებისადმი, რომლებიც პენსიის მიცემის საქმეს გა-ნაგებენ.

# დეპეშები

(საქარ. დეპ. სააგ.)

**მოსკოვი, ივნ. 10. ც. ა. კ. ბ. ბიულეტენი.**

**სამხედრო ცნობა.** 920 წ. 11 ივნის. ქ. დისნის დასავლეთით ჩვენმა ნაწი-ლებმა ამ ქალაქის 10—20 ვერსის მანძილზე რიგი პუნქტებ-სა აიღეს. ბერე-ზინაზე შეჩერებულ იქნა მოპირდაპირის ცდა შეტევაზე გადმოსვლისა. კიევთან, დნე-პრის მარჯვენა ნაპირზე, ჩვენ ვავიწროებთ პოლონელებს, და რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ კოროსტენ-კიევის რკინის გზის ხაზზე; ფასტოვი ჩვენს ხელშია. ყირიმის რაიონში პერეკოპის და სივაშის ჩრდილოე-თით ბრძოლა გრძელდება.

**ფრანგული პრესა.**

გერმანიის არჩევნები, რომელმაც უკი-დურეს პარტიებს კარგი შედეგები მის-ცა, გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ რეიხს-ტაგში მილერს საგრძნობი უმეტესობის ნახვა გაუჭირდება.

**ლონდონი,** 6 ივნისი. უმაღლესმა ეკო-ნომიურმა საბჭომ განიხილა ნოტა რო-მელშიც გამოთქმულია რუსეთის სურვი-ლი მოკავშირეთა წარმომადგენლებთან კავშირის დაჭერის შესახებ. ბოლშევიკე-ბის მხრივ რაიმე გარანტიების მიცემის შესახებ არავითარი შეთანხმება არ მომ-ხდარა.

**ომსკი.** საბჭოთა გაზეთების ცნობით ომსკში საგანგებო სამხედრო-რევოლიუ-ციონური ტრიბუნალის სხდომა გაიხსნა, რომელიც ადმირალ კოლჩაკის მთავრო-ბის ყოფილ მინისტრების საქმის გარჩე-ვას შეუდგა. ბრალდებულთა სკამზეა ცი-მბირის საზოგადო მოღვაწენი. სულ ბრალდებულთა რიცხვი 24 უდრის. ტრიბუნალის სხდომები ომსკის რკინის გზის სახელოსნოებში ხდება.

**კავკაზში.** ორშაბათს, კავკავში ჩრდი-ლო-კავკასიის საბჭოს წევრს, საქართვე-ლოში დანიშნულ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს, კიროვს მოელიან.

გადასახადს შემოსავლის კვალობაზე ენერგიულად კრეფენ.

1920 წელში უკვე 2 მილ. მან. არის შეტანილი. გადასახადების შემკრებ აპა-რატს განაგებს ვართინიანი, რომელმაც ყველა ძველი ხარჯთ-ამკრეპი ინსპექ-ტორი დაითხოვა.

**ხარკოვი.** ხარკოვში სასურსათო მდგო-მარეობა მეტად გამწვავებულია. ხალხი შიმშილს განიცდის. ქალაქში წესიერე-ბა და სისუფთავე არის გამეფებული. სდევნიან მხოლოდ იმ პირებს, ვისაც რაიმე დამოკიდებულება ქონდა მოხა-ლისე ჯართან. ძარცვა თითქმის მოსპო-ბილია. გაზეთები სავსეა მოწოდებით პო-ლონელების წინააღმდეგ.

**ტამანში.** ტამანის ნახევარ კუნძულზე გადმოსხმულთა გენერალ ვრანგელის დესანტი. დესანტი უმთავრესად ყუბანელებიდან და დონის ყაზახებიდან შედგება. დესან-ტი შეიარაღებულია არტილერიით და ტყვიისმფრქვეველებით. ამასთან ერთად დაიწყო პარტიზანული აჯანყებები საბჭო-თა მთავრობის წინააღმდეგ. თანახმად ჯერ კიდევ შეუმოწმებელი ცნობებისა დესან-ტის წინა ნაწილებს ანაპა აუღიათ, სადაც რაზმის შტაბია მოთავსებული.

**ჩეჩნეთი.** რკინის გზის მიმოსვლა გროზნოსა და პეტროვსკას შორის შეწ-ყვეტილია. აჯანყებულთა მიერ გარშე-მორტყმულია საბჭოთა ერთი დივიზია, რომელიც ამ რაიონში იმყოფება.

## კიდევ სომხეთის მუშათა და გლეხთა აჯანყების ტრაგედიიდან

ალექსანდროპოლიდან 4 ივნისის თა-რიღით ამხან. იუწყებოდა: ამხანაგებო, დღეს, 4 ივნისს, საღამოს სამი ამხ. უკვე გაიყვანეს ციხიდან, რომელთაც დახვრეტა აქვთ მისჯილი; ესენი არიან დ-რი პანიანი,*) ექიმი პრიბილსკი და მუშა სედიანი. ციხეში დავრჩით: მე—მუსაელიანი და ღარიბჯანოვი. როგორც ამბობენ, დაშნაკებს გადაწყვეტილი აქვთ ჩვენც გაგვიყვანონ და რაიმე კერ-ძო ხასიათის მიზეზით ისარგებლონ და ამ ნიადაგზე ტერორი მოახდინონ: ჩვენც დაგვხოცონ. ფიქრობენ აგრეთვე ციხის უფროსათ მაუზერისტი დანიშნონ, რომ მას შემთხვევა მიეცეს რაიმე ინცინდენ-ტი შექმნას ტუსაღებთან, ისარგებლონ ამით და, ვითომდა არეულობის მომიზეზე-ბით ვინც მხედველობაში ჰყავთ ყველანი დახვრიტონ. მიიღეთ მხედველობაში, რომ ყველა ჩვენების დახოცვა—ეს ერთიანათ დაშნაკების მიერ მოწყობილი საქმეა. ამას წინათ ჩემგან გამოგზავნილ მოხსე-ნებიდან დაინახავდით, თუ რა აუტა-ნელ მდგომარეობაში იმყოფებიან აქაურ ციხეში ამხანაგები. შიმ-შილის ნიადაგზე აქ ათას გვარი სე-ნი მძვინვარებს და სხვა პირობებიც მეტათ ანტისანიტარულია.

გთხოვთ მიიღოთ ყოველგვარი ზომა ჩვენს სახსნელათ.

**მუსაელიანი.**

ალექსანდროპოლის ციხე.

---

*) როგორც ამხ. მოწმობენ, ამხ. პანია-ნი ამ დროს მძიმე ავათ იყო. ტემპერატუ-რა, როგორც შემოწმებულ იქნა, ამ დროს 40° ეთანასწორებოდა.

## მუშას.

მუშავ, რას ფიქრობ, რამ დაგალონა?
მითხარ, ვიზე ხარ ეგრე მწუხარალადა?
იქნებ მას ნაღვლობ ძველ მეგობრებმა
მტრებთან ბრძოლაში რომ ჰქონდათ?

შენ დაანგრიე, მათ აღადგინეს
ისევ ბატონი, ისევ მონობა...
ნუ დაივიწყებ, კარგად შეიგნე,
რომ მეგობარი ჭირში იცნობა...

მეტი. მხნეობა! გაბედულად წინ!
ნუ დაგეტყობა, ძმავ, დაღლილობა,
გსწი, გაკაფე გზა ეკლიანი,
ნუ შეგაფერხებს მცირე ჭრილობა!

ნუ თუ ვერ ხედავ მაგ მდიდარ ვეშაპს,
ზურგზე რომ გაზის სისხლისა მსმელი?
გადაისროლე, ძირს დაანარცხე!
რას უფრთხილდები? ნეტავ რას ელი?

მტრები ბევრი, გყავს თავსა გესხმიან,
მაგრამ ნუ შიშობ, ველარ გავლენ ფონს:
გზა, ჩირაღდანით განათებული,
მალე მიგიყვანს შრომის სამეფოს!

ბუქ-ქარიშხალში გავალ ნაცადი,
ვით მძლავრი მუხა, ქარით რხეული...
კიდევ აიტანს ბევრ ამგვარ ავდარს
სალკლდეთ ქცეული შენი სხეული.

წამება, ჭირი მუდამ ყოფილა,
აღზდეგ, იბრძოლე მედგრათ ვით მდევი
და თუ დამარცხდე იქნე ძლეული,
საყვარელ მიზანს მტლად დაედევი!

ობოლა.

## პარტიული ცხოვრება

### ქ. გორი.

8 ივნისს გორში მოხდა კომიტეტის წევრთა კრება და, მდგომარეობის გაცნობის შემდეგ, გამომუშავებულ იქნა საშუალებანი პარტიულ მუშაობის გაღრმავებისათვის.

გ. ქარ.

### ხაშური.

8 ივნისს დაარსდა პარტიული ბიურო. ადგილობრივმა ორგანიზაციამ ერთი თავისი წევრის პირით ვრცელი და შინაარსიანი სიტყვებით მიმართა ახალგაზრდა მუშებს და გლეხებს. კრებამ მიიღო შესაფერი რეზოლიუცია მომენტის შესახებ და განიხილა ორგანიზაციის მოწყობის და გაერთიანების საკითხები.

გლო ქართლელი.

### სოფ. სამიქაო.

6 ივნისს სარევიზიო ბიუროს ხელმძღვანელობით მოწვეული იყო მაიდნისა და სამიქაოს ს. კომ. პარ. ორგან. გაერთიანებული კრება ადგილობრივ სასწავლებლის დარბაზში. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება მომენტზე, 2) ორგანიზაციული კითხვები და სხვა.

მოხსენება მომენტზე კრებამ კმაყოფილებით მოისმინა. დაარსდა სარეგისტრაციო ბიურო, რომელიც მოქმედებას შეუდგა.

ვანო კვანტალიანი.

## ამხანაგ მორდოვცევის ხსოვნას

7 ივნისს კავკავში დაასაფლავეს ამხანაგი მორდოვცევი ქალაქის სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტის თავმჯდომარე. მის დასაფლავებას დაესწრო პროფესიონალური კავშირები და ყველა პარტიის წევრები, წარმოითქვა მრავალი სიტყვები გასვენებულის მოღვაწეობის აღსანიშნავად. მორდოვცევი ერთი ძველი პარტიულ მომუშავეთაგანი იყო. ის ჯერ 1905 წ. იჯდა ციხეში მეფის მთავრობასთან ბრძოლისათვის, და მაშინ მომხდარ ამნისტიის ძალით განთავისუფლდა. ის უკანასკნელად საქართველოს რესპუბლიკის ციხეშიც იჯდა ოთხი თვე — განთავისუფლების შემდეგ მას წინადადება მიეცა საქართველოდან გასულიყო. ამხანაგი მიხეილ სიმონისძე მორდოვცევი მუშაობდა ბაქოში, პეტროვსკში და მრავალ სხვა ქალაქებში. კავკასიის პროლეტარიატი მას კარგათ იცნობდა.

## მუშათა მოსკოვი და ინგლისის დელეგაცია.

(გაგრძელება იხ. № 17).

### ბუხარინის სიტყვა.

ამხანაგებო! ნება მომეცით მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის „აღმასრულებელი კომიტეტის სახელით ორიოდე სიტყვა სთქვა.

აქ მე იმ ორგანიზაციის სახელით მიხდება გამოსვლა, რომელიც არაა შეზღუდული თავისი მდგომარეობით. ამიტომ, ამხანაგებო, მე უფრო დაუფარავათ მომიხდება ლაპარაკი, ვიდრე ოფიციალურ წარმომადგენლებს რუსეთის პროლეტარიატის საბჭოთა ძალაუფლებისა. მე ნებას მივცემ ჩემ თავს, რომ აქ პროლეტარულათ ვილაპარაკო იმ დელეგაციის შესახებ, რომელიც როგორც თქვენც დაინახეთ, შინაური შემადგენლობით ერთნაირი არაა (ტაში).

ჩვენ, გამარჯვების გზაზე დამდგარს და ზე აღმართული კომუნიზმის წარმომადგენელი ინტერნაციონალი, სხვებზე უფრო მჭიდროთ ვართ შეკავშირებული რუსეთის პროლეტარიატთან; და ეს არა იმიტომ, რომ რუსეთის პროლეტარიატში რაღაცნაირ ზესთა ბუნებრივ გმირულ თვისებებს ვხედავთ, არამედ იმიტომ, რომ მარტო რუსეთის ერთ პროლეტარიატს გარდა, მთელ მსოფლიო პროლეტარიატს მოეპოება მძლეთა-მძლევის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ბრძოლის ბასრი მახვილით არის აღჭურვილი, და ეს ორგანიზაცია **რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაა.**

— ამხანაგებო! კომისია, რომელიც ჩვენ გვესტუმრა, გვესტუმრა უპირველესათ იმიტომ, რომ მსოფლიო პროლეტარიატის ორგანიზაციამ, რომლის სახელი წითელი არმიაა, ბლოკადის კედელი გაარღვია. და უწინარეს ყოვლისა ჩვენ, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის საერთაშორისო ორგანიზაციამ, უნდა ვილაპარაკოთ ინგლისის საქმეებზე და შემდეგ გადავიდეთ რუსეთისაზე.

— ყველა ჩვენგანმა იცის, თუ როგორი საზიზღროებას წარმოადგენს იმპერიალისტურ მთავრობათა შორის ინგლისის მთავრობა და თუ როგორი, ყველაზე უსაძაგლესი და ვერაგული როლი შეასრულა მან მსოფლიო ომის დროს. ეს როლი დამთავრდა იმ ვერაგულ „ვერსალის სამშვიდობო ზავით“, რომელიც თავისი სიყალბითა და სიმდაბლით არც გენერალ გოფმანს და არც ვილჰელმ მეორეს არ ჩამოუვარდება. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ინგლისის მთავრობა პირდაპირ აწარმოებს თავისი კოლონიების მონამცხოვრებთ — და ისიც ხომ ვიცით, რომ დღეს ინგლისის მთავრობა საფრანგეთის მთავრობასთან ერთათ არაფერს ზოგავს, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი როგორმე დათრგუნოს. თებერვლის რევოლიუციის დღიდანვე ინგლისის მთავრობა სულ იმის ცდაში იყო, რომ იმპერიალისტურ ომში მოქანცული რუსეთის ხალხი კვლავ ომში ჩაეთრია და ამ გზით რუსეთის პროლეტარიატი დაეთრგუნა. კერენსკის მთავრობა ამ დროს ინგლისის იმპერატორის მათრახქვეშ იზნიქებოდა, — იმ იმპერატორის, რომლის საუკეთესო წარმომადგენელი სერ ბიუკენენი იყო.

ოქტომბრის რევოლიუციის წუთიდან არ მომხდარა თეთრგვარდიელთა არც ერთი ისეთი გამოსვლა, არ გადადგმულა არც ერთი ისეთი მოღალატური ნაბიჯი, რომ მასში ინგლისის მთავრობას უსაძაგლესი როლი არ შეესრულებიოს, რა დროს გამოვიდა კოლჩაკი, — ვინ ეხმარებოდა მას? — ინგლისის მთავრობა. როდის გამოვიდა კრასნოვი — ვინ დაეხმარა მას? — ინგლისის მთავრობა. როდის გამოვიდა იუდენიჩი, — ვინ მიეშველა მას? — ინგლისის მთავრობა. რა დროს მოხდა მოსკოვში ძლიერი აჯანყებები? — ვინ ხელმძღვანელობდა ამეებს? — ინგლისის მთავრობა, მისი აგენტი ლოკარტი. როდესაც იუდენიჩი პეტროგრადს იარაღით ემუქრებოდა, — ვინ ხელმძღვანელობდა მას მაშინ? — ინგლისის მთავრობა. და ამჟამათაც იმ ახალ ამბავთან ერთათ, რომელიც თქვენ დღეს ამხ. კამენევისგან გაიგონეთ, მე შემიძლია კიდევ ერთი ახალი ამბავი გადმოგცეთ, რაც მეტად ავტორიტეტულ წყაროდან არის გამოსული. ეს ის ამბავია, რომ დღეს ინგლისის სამხედრო ხომალდების თვლები იმისთვის ტრიალებენ, რომ ისინი ბალტიის ზღვისაკენ გამოაქროლონ. (ხმები: „სირცხვილი მათ“). იმ დროს, როცა ანტანტა იმის ცდაშია, რომ სამშვიდობო მოლაპარაკება გამართოს, ინგლისის მთავრობა იმავე დროს მახვილს ლესავს, რომ კვლავ ხელახალი უფრო ძლიერი ინტერვენცია დაიწყოს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამ მთავრობამ ხომ უკვე აუშვა პირველი პოლონეთის ბურჟუაზია და ახლა მზათ არის მეორე ქოფაკიც მიუსიას საბჭოთა რუსეთს, თუ დახცალდა და ჩვენმა წითელმა არმიამ ხელი არ შეუშალა, რომელსაც მტრის ზოგი რაზმები უკვე უკუაქცია. რითი დასრულდა უნგრეთის პროლეტარიატის გამოსვლა? — იგი ინგლისის მთავრობის წარმომადგენელ გენერლის, ხორტის, წალის ქუსლით იქნა გასრესილი. კიდევ მრავალი მისგან ჩადენილ დანაშაულობათა მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა შეიძლებოდა მრავალი შემთხვევა დაგვესახელებია დახვრეტის, მკვლელობის, რაც ლონდონის სისხლის მსმელ კაპიტალისტების ხელმძღვანელობით სრულდებოდა, იმ კაპიტალისტების, რომლებიც მსოფლიოს ნახევარზე მეტ წილს განაგებენ და რომლებიც ყოველ ზომას ხმარობენ, რომ მ[...]თა კლასის თავისუფალი სული ძირშივე ჩაახშონ. აუარებელი ფაქტების დაგროვება შეიძლებოდა იმის დასასურათებლათ, თუ რა ხარისხის და ზომის სიმდაბლესა და სისაძაგლეს ჩადიოდა და ჩადის ინგლისის თანამედროვე მთავრობა და სრულიათ ბუნებრივია, რომ დღევანდელ ხანაში ეს მთავრობა გაცილებით უფრო სულ მდაბალია და საძაგელი, ვიდრე ის თვითმპყრობელური მთავრობა, რომელიც წინა ხანაში ბატონობდა. ახლა საჭიროა ვიკითხოთ: რა გააკეთეს სხვა და სხვა პარტიებმა და სხვა და სხვა ელფერის მქონე პოლიტიკურმა ჯგუფებმა? რა გაკეთდა იქ იმისთვის, რომ ინგლისის იმპერიალისტების წინააღმდეგ რევოლიუციური ბრძოლა გამოცხადებულიყო? ვკითხოთ ეს იმ დელეგაციას, რომლის წევრები იმავე დროს საპარლამენტო მუშათა პარტიის კომისიის წევრებიც არიან. იყო, თუ არა ერთხელ მაინც პარლამენტში რევოლიუციური გამოსვლა? გაისმა, თუ არა იქ, პარლამენტის ტრიბუნიდან, ერთი ჩუმი ხმაც კი შესახებ იმისა, რომ ინგლისის მუშათა პარტიას ინგლისის მთავრობისაგან ხმა მაღლა მოეთხოვა, რომ მან თავის მზაკვრულ პოლიტიკაზე ხელი აიღოს?! არა, ასეთი ნაბიჯი იქ არ გადადგმულა.

— ინგლისშიაც ისე, როგორც ყველგან მსოფლიოში, მუშათა მოძრაობა ამ ხანათ სამ ბანაკათ გაიყო და ეს ამბავი პროლეტარიატის ძველი წინამძღოლების უმრავლესობისათვის ბურჟუაქალბატონის ქველმოქმედების რაღაც ნაირ სანტიმენტალურ გასართობ საგანს წარმოადგენს. ჩვენთვის კი ეს სასეირო ამბავი როდია, ჩვენთვის, ჯალათებისგან წამებულთა სისხლი კეთილსინდისიერის ოხვრის საგანს კი არ წარმოადგენს, — არამედ სტიმულს წმინდა მძულვარებისას, რომელიც სამკვეთრო ომისაკენ გვიწვევს ჩვენ. მაგრამ, ამხანაგებო, ინგლისის პროლეტარიატი ასეთ მდგომარეობაში არ იმყოფება: ის დღეს მეტათ დაკავშირებულია ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან და ინგლისის მუშათა მოძრაობის ლიდერთა შორის ისეთებიც არიან, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩერჩილი ტყუილს არ იკადრებს, რადგან ის კეთილშობილი ინგლისელი ბატონია. ეს ისეთი უსაზღვრო ნდობაა, რომელიც თვით უკეთესი ლაქიის თავის ბატონისადმი ერთგულებას ვერცკი შეედრება. რა თქმა უნდა, ვერავითარი რევოლიუცია ვერ მოხდება ასეთ პირობებში. რევოლიუცია რომ მოახდინოთ, ამისთვის იმდენათ ჰახვილგონიერი მაინც უნდა იყოთ, რომ გესმოდეთ, რომ მუშათა კლასის მტერი ყოველთვის მზათაა გააცუროს და მოატყუოს ის. ასეთი წინამძღოლები ინგლისში რამდენიც გნებავთ იმდენია, მაგრამ სიმართლე არ თქვა ამხ. შოუმ, როცა განაცხადა, რომ ინგლისში არც ერთი რევოლიუციური კავშირი არ არსებობსო. აქ ამხ. ლოზოვსკიმ ასეთი კავშირების მთელი რიგი ჩამოთვალა; და ჩვენც, კომუნისტურ ინტერნაციონალს, ბევრი ცნობა მოგვეპოება იმაზე, რომ ბალშევიზმი ინგლისში იზრდება. მაგრამ იმავე დროს ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ამერიკის, ინგლისის და იაპონიის მენშევიკებს ყოველთვის მოეძებნებათ ისეთი მუხრუჭი, რომლითაც შეიძლება შეწყვიტონ ისეთი აზროვნება, რაც მათთვის ხელსაყრელი არაა, და აღძრან სხვა, „მათთვის მისაღები“ აზრები რევოლიუციის მსვლელობაზე. უთუოთ უმრავლესობა თქვენგანი გუშინდელ წარმოდგენას დაესწრო და გეხსომებათ, როგორ გამოვიდა ორი დეზერტირი და ორივემ ე რ თ და იმავე საგანზე გააბა ლაპარაკი, მაგრამ, როცა ხალხიდან სიცილი მოესმათ და ძახილი: „არ ისმისო“, ლაპარაკის კილო შეიცვალეს და სულ წინააღმდეგ საგანზე დაიწყეს საუბარი. აი, როცა აქ გამოვიდა აბრამოვიჩი, სწორეთ ეს მანერა მომაგონდა. ეს ტაქტიკა არა მარტო ჩვენი მენშევიკების დამახასიათებელია, არამედ სხვა ქვეყნებისაც. და, რომ იმ გზით იმგზავრა დელეგაციამ საბჭოთა რუსეთისაკენ, რომელზედაც ზოგი მისი წევრები პ. ბ. აქსელროდს შეხვდენ; და ხომ დიდიხანია ცნობილია, რომ „გულს გული იცნობს და მენშევიკს მენშევიკი! (სიცილი) აი, ამხანაგებო, თუ ინგლისის მუშათა მოძრაობას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ის, ჩვენ შორის გაჩენილი უთანხმოება — განხეთქილებანი, აქ, ინგლისის მუშათა მოძრაობაშიაც არსებობენ. არ იყო მართალი აბრამოვიჩი, როცა ამბობდა, თითქო ეს უთანხმოება ჩვენი შინაური საქმე იყოს; არა, ის საერთაშორისო საქმეა; და ეს დავა საერთაშორისო დავაა. და ეს უთანხმოება რომელიც პირველათ სიტყვებით იწყება, მერე კი სრულიად არა სიტყვიერ შედეგებში იხატება. აბა ჩაუკვირდით აქ ჩვენს დავას; გამოდის აბრამოვიჩი და ამბობს: ერთურთის თანახმა ვართ იმაში, რომ სოციალისტური რევოლიუცია აუცილებელია, ჩვენ მხოლოდ იმაზე ვართ შეუთანხმებელი, თუ როდის მოხდება ეს რევოლიუცია. როცა იმპერიალისტური ომი დაიწყო, ჩვენ ამ ომის გაძლიერების ხანაშივე ვამბობდით, რომ სოციალისტური რევოლიუციის მომენტი უკვე დამდგარია თქო. მენშევიკები ამაზე არ გვეთანხმებოდენ; მოხდა ოქტომბრის რევოლიუცია რუსეთში, მაშინ მენშევიკებმა სთქვეს. რუსეთი ეს დამარცხებული ქვეყანაა, მაგრამ გერმანიაში კი რევოლიუცია არ მოხდება. მოხდა გერმანიაში რევოლიუცია, მაშინ მენშევიკებმა თქვეს: გერმანიაც დამარცხებული ქვეყანაა, სხვა ქვეყნებში მაინც არ მოხდება რევოლიუციაო. მაშასადამე 2 წელიწად ნახევარი საჭირო შეიქნა იმისთვის, რომ მენშევიკებს აზრათ მოსვლოდათ და ეთქვათ, რომ რევოლიუცია მაინც ხდება. მართალია მათ კიდევ აქვთ რაღაც მომარაგებული საპასუხოთ (ისინი ხომ „მომარაგების“ ხალხია): ისინი, მაგალითათ, თუმცა ამბობენ, რომ რევოლიუცია იქნება, მაგრამ ის პირწმინდათ ასეთი მაინც არ იქნებაო. სწორეთ ასეთი ყალთაბანდობას ჩადიან ისინი დიქტატურის შესახებაც, როცა ამბობენ, რომ თითქო ისინიც პროლეტარიატის დიქტატურის თვალსაზრისზე დგანან, რომ დიქტატურა მათ პარტიულ პროგრამაშიაც უწერიათ, მაშინ ჩვენ მათ ამაზე შემდეგით ვუპასუხებთ: წინათ ისინი ბატონ კაუცკისთან ერთათ დიქტატურის წინააღმდეგი იყვნენ. კაუცკი ამტკიცებდა, რომ მარქსს მხოლოთ ერთი სიტყვა წამოცდაო... მართალია მარქსმა სთქვა, რომ დიქტატურა სოციალისტურ მოძღვრების არსებით მხარეს წარმოადგენსო, მა[...] რა მერე ეს?! ამნაირათ მენშევიკები [...] ფეხურიდან საფეხურით ახალ-ახალ [...] ზიციებზე გადადიან და მეტათ [...] ტერესოა ამ გზაზე მათი მოძრა[...] გათვალისწინება. საინტერესოა [...] ის, რომ მათ ცოტა რამ ახლაც [...] ამისთვის მომარაგებული. დღეს ი[...] ამბობენ: ჰო, დიქტატურაც არის დ დი[...] ტურაცო; და როცა ჩვენ ყველა[...] მოვაწყობთ, მაშინ მენშევიკები უ[...] ლათ იტყვიან: ჩვენც ვამბობდით ხო[...] რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი [...] და ასე იქნება, ჩვენ მხოლოთ მოძრ[...] ბის ტემპის შესახებ ვცდებოდითო. მ[...] კი ისინი კოლჩაკის მთავრობაში მ[...] კებს გაგზავნიან ან კიდევ ისეთ რ[...] ჩაიდენენ, რასაც ღმერთიც აპატიებს, [...] ნაიდან ეს უკანასკნელი უსაზღვროთ გ[...] მოწყალეა. მე მინდა ვთქვა, რომ მენშე[...] კების მთელი პოზიცია, ეს ლაჩრული პო[...] ციაა, რომელიც მუშათა მოძრაობას მ[...] ლოთ თუ შეაფერხებს, თორემ სიკეთეს [...] რაფრით ვერ მოუტანს. აბრამოვიჩმა [...] განაცხადა, რომ მათ დემოკრატული [...] ნასწორობის საკითხი აღელვებთ; [...] სიტყვით მშრომელთა თანასწორობა [...] არსებობს, რომ არსებობს მხოლ[...] თ ერ[...] განსაზღვრული, ერთი მუჭა ჯგუფი დიქ[...] ტორობს და ეს სიტყვა დაათავა იმ განც[...] დებით რომ მენშევიკები მაინც არიან [...] ჭოების მომხრეო. თქვენ ხომ გახსო[...] თუ რას ამბობდენ ისინი? თავდაპირ[...] ლათ ისინი საბჭოების ყოველნაირი [...] ლა-უფლების წინააღმდეგი იყვნენ. ის[...] ამბობდენ, რომ პროლეტარიატმა ე[...] გვარი წაჯექ — უკუჯექობის როლი უ[...] შეასრულოს; მან სხვა კლასები მუჯ[...] გუნებით უნდა გაიგდოს წინ, იქეთ-აქ[...] გადახაროს და ასე მიუახლოვდეს ძა[...] უფლებას, მაგრამ როგორც კი მი[...] ლოვდება მას და მის ხელში ალ[...] მოინდომებს, მყისვე უკუ იქცეს [...] თავი აწებოსო. აი როგორი რო[...] შესრულებას ურჩევდენ ისინი პრო[...] ტარიატს.

(შემდეგი იქნება)

### საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა ორგანიზაციებს და წევრებს.

ძვირფასო ამხანაგებო! „კომუნისტი“ გამოდის „ბრძოლის“ მაგიერ. როგორც „ბრძოლა“, ისე „კომუნისტი“ მუშების და გლეხების გაზეთია; იგი დაიცავს მთელი მშრომელი მასსის ყველა დაჩაგრულთა და შევიწროებულთა ინტერესებს. აშკარაა, რომ თავისი ორგანო თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა ასაზრდოონ, თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა მისცენ მას არსებობის საშუალებანი.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! აღმოუჩინეთ თქვენი აშკარებით ინტერესების დამცველ გაზეთს „კომუნისტს“ ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება. შიიღეთ ყოველგვარი ზომები მის გასავრცელებლათ ფართო მასსაში, გამართეთ ხელის მოწერა მის სასარგებლოთ. ამით თქვენ უზრუნველ ყოფთ მის არსებობას.

**საქართვ. კომუნისტ. ორგანიზაციების დროებ. ცენტრალური კომიტეტი.**

## მისალმებანი

ს. ნაფიჩხოვო, ზუგდიდის მაზრა. ს[...] მი დაუღალავ მუშებს და მათ სისხ[...] მონაპოვარ გაზეთს „კომუნისტს“. ვუს[...] ვებთ მათ ვამარჯვებას, რომ თავის[...] გარი ბრძოლით მიაღწიონ თავის მიზა[...]

სალამი გაზ. „კომუნისტს“ და მის [...] ნამშრომლებს. ს. ეწერელ ამხანაგ[...] მონდობილობით ვარლამ კუცია.

აღფრთოვანებით მივესალმებით გა[...] „კომუნისტის“ დაარსებას.

სუჯუნის ახალგაზდა კომუნისტები.

## პროვინციის ცხოვრება

**სოფ. სიმონეთი** (ქუთაისის მაზრა). არსებობს აკაკი წერეთლის სახელო[...] სამკითხველო. სამწუხაროდ, ამ სამკით[...] ლოთი სოფლის მუშები იშვიათად სარ[...] ლობენ, რადგან ორი-სამი ვერსითაა [...] შორებული სოფელზე და თან შიგ ხში[...] გაზეთებიც კი არ მოიპოება, რადგან [...] თითქმის სოფლის ინტელიგენტს გაზეთი [...] ხელში მიაქვს და მხოლოდ თვითონ [...] გებლობენ. მოვაგონებ ბ. სამკითხვე[...] გამგეს, რომ ცოტა მეტი ყურადღე[...] მოეპყრას კულტურულ-განმანათლებელ [...] ქმეს.

გალ. ბ—ძე.

**ქ. ხაშური.** ღამის 9—10 საათზე [...] ივნისს, რკინის გზის ფურნიდგან, [...] ლიც მოთავსებული იყო ბაზარში, გა[...] ცეცხლი, რომლის ალი სწრაფათ მო[...] მეზობელ შენობებსაც, ცეცხლმა იმსხვ[...] პლა რამოდენიმე სახლი. ზარალი დი[...] რადგან ვერავითარი ზომები ვერ იქნა [...] ღებული ცეცხლის ჩასაქრობათ.

## პროვინციელი ამხანაგები[...] საყურადღებოდ!

კანტორა სთხოვს იმ ამხან[...] გებს, რომლებიც ღებულო[...] გაზეთ „კომუნისტს“ გასავ[...] ცელებლათ — სწრაფი ფული [...] მოგვეიზავნონ თანდათანობ[...]